


საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR DEVELOPMENT OF SCIENCES AND SOCIETY



ISSN 1512-0333



1(27)

თბილისი TBILISI
2007

10.00.00 ფილოლოგიის მეცნიერებათა PHILOLOGICAL SCIENCES

ნინო კირვალიძე

საკუთარ სახელთა იდენტიფიკატორული თავისებურებანი და მათი ფუნქციონირება
ინგლისურენოვან ტექსტში

განხილულია საკუთარ სახელთა იდენტიფიკატორული ფუნქციონირების თავისებურებათა გამოვლენა ინგლისურენოვან ტექსტში და მათი ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური ინტერპრეტაცია.

სამეტყველო აქტების თეორიის განვითარებამ ცხადყო, რომ ნებისმიერ გამონათქვამს საფუძვლად უდევს რეფერენციისა და პრედიკაციის აქტების ერთობლიობა. ლინგვისტურ ლიტერატურაში რეფერენციის ცნებაში გულისხმობენ მეტყველებაში აქტუალიზებულ ენობრივ ნიშანთა შეპირისპირებას რეალურად თუ ჰიპოთეტურად არსებულ ამ თუ იმ ობიექტთან (საგნობრივთან/არასაგნობრივთან), რის შედეგადაც ეს უკანასკნელი განხილვის ზონაში ექცევა [1; 3]. პრედიკაცია კი ითვალისწინებს გამოყოფილი ობიექტისათვის გარკვეული ნიშან-თვისებების მიწერას. რეფერირებული ექსტრალინგვისტური ობიექტის აღმნიშვნელ ენობრივ ნიშნებს იდენტიფიკატორები ეწოდება. თვით ობიექტი ამ დროს მათ რეფერენტად წარმოგვიდგება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთმანეთისაგან გაგმიჯნოთ დენოტაციისა და რეფერენტის ცნებები. ეკრძოდ, დენოტაციი არის ტიპიზირებული, უადრესად ზოგადი თვისებების მატარებელი ხატი (სტერეოტიპი) ვირტუალური ენობრივი ნიშნით აღნიშნულ საგანთა კლასისა, მაშინ როდესაც რეფერენტი არის ის კონკრეტული ექსტრალინგვისტური ობიექტი, რომლის იდენტიფიკაციაც ხდება მეტყველებაში აქტუალიზებული ნიშნის საშუალებით.

საკუთარ სახელებს განსაკუთრებული ადგილი უკავია რეფერენციის ენობრივ საშუალებათა შორის. ისინი საკუთრივ სახელებების ფუნქციას ასრულებენ ექსტრალინგვისტურ ობიექტთან მიმართებაში და ეწ. სინგულარული რეფერენციის უნარი აქვთ მხოლოდ კონკრეტული სამეტყველო სიტუაციის, კომუნიკანტთა ფონური ცოდნის ან კონტექსტური ინფორმაციის გათვალისწინებით. ეს განპირობებულია იმით, რომ თავისთავად საკუთარი სახელები მოკლებულნი არიან კონცეპტუალურ მნიშვნელობას (აზრს), თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ ზოგად მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც ხდება ადამიანთა დიფერენცირება სქესის, ზოგჯერ კი ეროვნების მიხედვით. ამ თვისებების გამო, საკუთარი სახელები გვევლინება მკაცრ, მოუქნელ იდენტიფიკატორებად (ს. კრიპკეს [2] ტერმინოლოგიით – "rigid designators"), რაც გულისხმობს იმას, რომ მათი ფუნქციონირება ტექსტში ლიბიტირებულია და განპირობებულია გარკვეული ლინგვოპრაგმატიკული ფაქტორებით. როგორც წესი, საკუთარი სახელები გამოიყენება ადრესატისათვის ცნობილი ექსტრალინგვისტური ობიექტის რეფერირებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეფერენტი დაფიქსირებული უნდა იყოს ადრესატის ცნობიერებაში პრაგმატიკული ფონური ცოდნის ან კონტექსტური ინფორმაციის საშუალებით, რის საფუძველზეც მას შეუძლია მოახდინოს მსჯელობის საგნის იდენტიფიკაცია, მაგალითად:

- "And I have the news that'll be holding both of you", said Gerald, "they're saying Stu is courting at Twelve Oaks again."
- "Honey or India?" questioned Melly excitedly, while Scarlett stared almost indignantly.
- "Oh, Miss India, to be sure. Didn't she have him fast till this baggage of mine winked at him?"

(Mitchell M., "Gone with the Wind", p.171)

წინააღმდეგ შემთხვევაში, უცნობი საგნის შემოყვანა ტექსტში საკუთარი სახელით გამოიწვევს გაუგებრობას ადრესატის მხრიდან და დამატებითი ინფორმაციის მიწოდების გარეშე მისთვის შეუძლებელი გახდება მსჯელობის საგნის იდენტიფიკაცია, მაგალითად:

- Do you think Helen is beautiful?
- Who's Helen?
- My mother. Honestly, you are slow sometimes.
- Yes.

(Delaney S., "A Taste of Honey", p. 37)

ილუსტრირებულ მაგალითში გაუგებრობის ფენომენის წამოქმნა კომუნიკანტთა შორის განპირობებულია მეტყველი სუბიექტის მიერ კომუნიკაციური თანამშრომლობის, ანუ კოოპერაციის პრინციპების დარღვევით. დისკურსის თანამედროვე თეორიაში მითითებულია, რომ დიალოგი წარმოადგენს ინფორმაციის შესამებაზე ორიენტირებულ თამაშს (information-matching-game), რომლის მსვლელობის დროსაც კომუნიკანტებმა უნდა დაიცვან გარკვეული წესები. ამ მხრივ საყოველთაო აღიარება მოიპოვა პ. გრანისის მიერ შემუშავებულმა სამეტყველო პოსტულატებმა, რომლებიც ქცევის ოთხი ძირითადი კატეგორიის ანუ მაქსიმის (maxims) სახით არის წარმოდგენილი [4, გვ. 94], ესენია:

1) რაოდენობრიობის ანუ ინფორმაციულობის მაქსიმა, რომლის თანახმადაც გამონათქვამი ზუსტად იმდენ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს, რაც საჭიროა ურთიერთგაგების დამყარებისათვის. იგი ექსპლიციტურულია პოსტულატით: "თქვენი გამონათქვამი არ უნდა შეიცავდეს იმაზე ნაკლებს ან მეტს, რაც საჭიროა";

2) თვისებრიობის ანუ ჭეშმარიტების მაქსიმა, რომელიც უზრუნველყოფს გამონათქვამის უტყუარობას, მის სარწმუნოებას და გამოხატულია პოსტულატებით: "ნუ იტყვი იმას, რაც ტყუილი გგონიათ". "ნუ იტყვი იმას, რისი თქმის საფუძველიც არ გაგაჩნიათ";

3) დამოკიდებულების ანუ რელევანტობის მაქსიმა, რომელიც ურთიერთობის რეფერენტული ხაზის განვითარებას ემსახურება. იგი წარმოდგენილია პოსტულატით: "ნუ გადაუხვევთ საუბრის თემიდან";

4) ხერხის ანუ აზრის მკაფიოდ გამოხატვის ენობრივ საშუალებათა მაქსიმა, რომელიც არკველირებს გამონათქვამის ლექსიკურ-გრამატიკული სტრუქტურირების პროცესს. მოცემული მაქსიმა რეალიზებულია პოსტულატებით; "ერიდეთ გაუგებარ გამონათქვამებს"; "ერიდეთ არაერთმნიშვნელოვნებას". "იყავით მოკლე". "იყავით ორგანიზებული".

ზემომოყვანილ მაგალითში გაუგებრობის ფენომენი სწორედ კომუნიკაციური თანამშრომლობის პრინციპების დარღვევის შედეგად წარმოიქმნება. კერძოდ, მეტყველი სუბიექტი არ ითვალისწინებს ადრესატის ფაქტორს მისი ფონური ცოდნის დონითა და პრაგმატიკული მიმართებით და არღვევს ე.წ. რაოდენობრიობის ანუ ინფორმატიულობის მაქსიმალს, ახდენს რა მსჯელობის საგნის რეფერირებას საკუთარი სახელით, რომელიც მოკლებულია იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმატიულობას.

სშირია შემთხვევები, როდესაც საკუთარი სახელით შემოყვანილი მსჯელობის საგნის იდენტიფიკაცია მოითხოვს ადრესატის კულტურულ ფონურ ცოდნას. ცნობილია, რომ რამდენადაც მაღალია ადამიანის ინტელექტუალური დონე, იმდენად შესაძლებელია საუბრის დროს გამოჩენილ პიროვნებათა გვარის ან სახელის გამოყენება. კულტურული ფონური ცოდნის უქონლობა სშირად წარმოშობს გაუგებრობის ფენომენს, რაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ადრესატს. ამგვარი ტიპის უადრესად საინტერესო შემთხვევა იუმორისტულ ფერებში აღწერილი აქვს ცნობილ ამერიკელ მწერალს ჯინ ვებსტერს თავის ნაწარმოებში „გრძელფეხება მამილო“. ამ წიგნის მთავარი გმირი, ჯერუშა ებოტი, ობოლთა თავშესაფრიდან ამერიკის ერთ-ერთ საუკეთესო კოლეჯში ხვდება, სადაც პირველკურსელებს უკვე აქვთ გარკვეული ცოდნა კულტურის სხვადასხვა დარგში, მათ შორის, ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ბუნებრივია, რომ ობოლთა თავშესაფარში გოგონა მოკლებული იყო ამგვარი ცოდნის მიღების შესაძლებლობას, რის გამოც მისი კულტუროლოგიური ხასიათის ფონური ცოდნის დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება კოლეჯის სხვა სტუდენტების დონეს. იგი თანაკურსელების დაცინვის საგანი ხდება, როდესაც მიქელანჯელოს გვარის პირველად გაგონებისას, ეს ცნობილი იტალიელი მოქანდაკე მთავარანგელოზად მიიჩნია მისი გვარის ფლერადობის გამო; ხოლო ასევე გამოჩენილი ბელგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში, მორის მეტერლინიკი პირველკურსელი ეგონა. კულტურული ფონური ცოდნის შექსების ძირითად გზას კითხვა წარმოადგენს. ჭეშმარიტებაა, რომ, რაც უფრო მეტს კითხულობს ადამიანი, იმდენად იზრდება მისი ინტელექტუალური დონე. ბუნებრივია ნიჭით დაჯილდოებული ეს ჭკვიანი გოგონაც ენციკლოპედიაში ცდილობს მოიძიოს ის ინფორმაცია, რომელიც მის გონებაში მანამდე არსებულ კულტუროლოგიური ხასიათის სიცარიელეს შეავსებს. ამაზე მეტყველებს გრძელფეხება მამილოსადმი მიწერილი ქვემოთ მოყვანილი ჯერუშას წერილი:

“October 10th”

Dear Daddy-Long-Legs,

Did you ever hear of Michael Angelo? He was a famous artist who lived in Italy in the Middle Ages. Everybody in English Literature seemed to know about him and the whole class laughed because I thought he was an archangel. He sounds like an archangel, doesn't he? The trouble with college is that you are expected to know such a lot of things you've never learned. It's very confusing at times. But now, when the girls talk about things that I've never heard of, I just keep still and look them up in the encyclopedia.

I made an awful mistake the first day. Somebody mentioned Maurice Maeterlinck, and I asked if she was a Freshman. That joke has gone all over the college. But anyway, I'm just as bright in class as any of the others – and brighter than some of them!

Jerusha Abbott.

Wednesday.

(Webster J., “Daddy-Long-Legs” p. 20)

აქედან გამომდინარე, შეიძლება საკამათოდ იქნეს მიჩნეული ჯ. ლაკოფის მტკიცება მის შესახებ, რომ ტექსტის საზოგადოებრივი განვითარების დროს კორექტირებულ სახელთა არანაირება უნდა იწყებოდეს საკუთარი სახელით, რომელსაც შეიძლება მოსდევდნენ სხვადასხვა სახის დესკრიფციები და ნაცვალსახელები: proper name + specific description + a general class name + pronoun. საილუსტრაციოდ მას მოჰყავს შემდეგი მაგალითი: “Napoleon entered the room. The famous general made some announcement. The man was very excited. He spoke at top speed” [5, p. 218]. ჩვენი აზრით, სხვადასხვა ტიპის იდენტიფიკატორთა ამგვარი არანაირება ხელოვნურ ხასიათს ატარებს და ეწინააღმდეგება იდენტიფიკაციის წესებს, რომელთა თანახმად, ტექსტის რეფერენტული საზის განვითარება მიმდინარეობს ეგზისტენციალური, ფონური ცოდნის შემქმნელი ტაქსონომიური სახელადი ფრაზებიდან იმ საკუთარი სახელებისა და დეიქტურ საშუალებათა გამოყენებისაკენ, რომელთა სემანტიკაც რეტროსპექტულია და უმეტესად წინარე ტექსტს ეყრდნობა.

კვლევის შედეგად შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ მსჯელობის საგნის პირველადი შემოყვანა ტექსტში საკუთარი სახელით ნორმიდან გადახვევას კი არ წარმოადგენს, არამედ იგი განპირობებულია სამეტყველო სიტუაციით ან მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური ინტენციით. პირველ რიგში, ეს არის გაცნობისა და წარდგენის სიტუაციები, რომლებშიც მსჯელობის საგნის რეფერირება ხდება საკუთარი სახელის ინდექსალური (ოსტენსიური) გამოყენებით, რის შედეგადაც სახელსა და ექსტრალინგვისტურ რეფერენტს შორის მყარდება იდენტიფიკაციის, ანუ იგივეობის ურთიერთობა. მაგალითად:

1. “Linnet!” Jackie ran to her, “This is Simon.”

“Simon, here is Linnet. She is just the most wonderful person in the world.”

(Christie A., “Death on the Nile”, p. 20)

სტილისტურად ნეიტრალურ ტექსტში, სადაც თხრობა ემორჩილება თანამიმდევრობის ლოგიკურ წესებს, მსჯელობის საგნის საკუთარი სახელით შემოყვანა ბუნებრივია ეგზისტენციალურ გამონათქვამებში. ამ შემთხვევაში საკუთარი სახელი სემანტიკურადაც და სინტაქსურადაც დაქვემდებარებულია სუსტად განსაზღვრულ ტაქსონომიურ სახელად ფრაზაზე, რომლის საშუალებითაც ხდება მეტყველი სუბიექტის მიერ ადრესატისათვის უცნობი ობიექტის შემოყვანა მისი ცოდნის სფეროში. მაგალითად:

1. “In the town of Jefferson lived a young man named Percy Grimm. He was twenty-five and a captain in the State Guard.”

(Faulkner W., “Percy Grimm”, p. 295)

2. “A long time ago, in slavery times, there was a man named Cue. I want you to think about him.”

(Benet S.V., “Freedom Is a Hard-bought Thing”, p. 332)

ილუსტრირებული მაგალითები მნიშვნელოვანია იმით, რომ მათში ერთდროულად ხდება მსჯელობის საგნის ინტროდუქცია და იდენტიფიკაცია სუსტად განსაზღვრული დესკრიფციისა და საკუთარი სახელის საშუალებით, რომლებიც ქმნიან რთულ (შედგენილ) სახელად ფრაზას. ამ ფრაზის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ იგი იმპლიკაციის სახით შეიცავს რელაციურულ განსაზღვრებით წინადადებას, რომელიც

საჭიროების შემთხვევაში, ადვილად შეიძლება იყოს რეკონსტრუირებული: a young man named Percy Grimm → a young man whose name was Percy Grimm; a man named Cue → a man whose name was Cue.

თანამედროვე ინგლისურში მსჯელობის საგნის პირველადი ინტროდუქცია ტექსტში საკუთარი სახელით დამახასიათებელია ე.წ. მაიდენტიფიცირებელი გამონათქვამებისათვის, რომლებშიც ამ სახელით რეფერირებული პიროვნების იდენტიფიკაცია ხდება ნომინალური და ტაქსონომიური პრედიკაციის გზით. მაგალითად:

"Cora Jenkins was one of the least citizens of Melton. She was what the people referred to when they wanted to be polite, as a negress..."

(Maltz A., "The Way Things Are", p. 463)

დინამიკური თხრობის დროს, საკუთარი სახელით წარმოდგენილი მსჯელობის საგანი შეიძლება იდენტიფიცირებული იყოს არა სპეციალური ტაქსონომიური პრედიკაციით, რომელიც რეალიზებულია შედგენილ სახელად შემასმენელში, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მაგალითებში იყო, არამედ ნომინალური განსაზღვრული დესკრიფციით, რომელიც სტრუქტურულ-სემანტიკურად დაქვემდებარებულია საკუთარ სახელზე როგორც მისი მსაზღვრელი, რამდენადაც იგი წარმოადგენს ამ სახელთან ატრიბუტულ მიმართებაში მეოფი დამოკიდებული წინადადების რედუცირების შედეგს. მაგალითად:

"Hop Higgins, the night watchman, was partially awake. He was lame and he carried a heavy stick"

(Andersen Sh., "The Teacher", p. 114)

"Harrison Towne, the barrel-bodied, bull-naked deputy, was twenty-eight years old."

(Maltz A., "The Way Things Are", p. 463)

"Phill Macedon, once the star of stars, and Pat Hobby, script writer, had colided out on Sunset Square near the Beverly Hills Hotel."

(Fitzgerald F.S., "Two Old-Timers", p. 293)

"Lily, the caretaker's daughter, was literally run off her feet"

(Joice J., "The Dead", p. 35)

მოცემული მაგალითების ტრანსფორმაციული ანალიზი ცხადყოფს, რომ მათში ყველა სახელადი ფრაზა სტრუქტურულ-სემანტიკურად შედგენილი სახისაა და ამასთან, ატრიბუტული დესკრიფცია სინტაქსურად დაქვემდებარებულია საკუთარ სახელზე როგორც მისი მსაზღვრელი: **"Hop Higgins, the night watchman, was partially awake."** → **"Hop Higgins, who was the night watchman, was partially awake."** **"Harrison Towne, the barrel-bodied, bull-naked deputy, was twenty-eight years old."** → **"Harrison Towne, who was the barrel-bodied, bullnaked deputy, was twenty-eight years old."** **"Phill Macedon, once the star of stars and Pat Hobby, script writer"** → **Phill Macedon, who was once the star of stars, and Pat Hobby, who was a script writer ..."** **"Lily, the caretaker's daughter, was literally run off her feet"** → **"Lily, who was the caretaker's daughter, was literally run off her feet"**. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ დროს, მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური ინტენციის თანახმად, წინა პლანზე არა მსჯელობის საგნის იდენტიფიკაცია, არამედ მისი თვისებრივი დახასიათება.

ენობრივი მასალის განზოგადება გვიჩვენებს, რომ კომუნიკაციის წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა ადრესატისათვის უცნობი ობიექტის რეფერირებას საკუთარი სახელით თან ახლდეს მისი იდენტიფიკაცია ამა თუ იმ ენობრივი საშუალებით. მაგრამ, მხატვრულ ლიტერატურაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ავტორი შეგნებულად აყენებს მსჯელობის საგნის იდენტიფიკაციას, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ მაგალითშია:

"Eustace's career – if career it can be called – certainly dates from that afternoon in the chestnut woods above Ravello..."

Ravello is a delightful place with a delightful little hotel in which we met some charming people.

There were the two Miss Robinsons, who had been there for six weeks with Eustace, their nephew, then a little boy of about fourteen."

(Faster E., "The Story of Panic", p. 213 - 214)

ასეთ დროს, საკუთარი სახელის ფუნქციონირება ტექსტში მიჩნეულია სტილისტიკურ ხერხად და იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ავტორის სუბიექტურ მოდუსთან, კერძოდ, მის პრაგმატიკულ მიმართებასთან, რომელიც მიზნად ისახავს ადრესატის ინტერესის სტიმულირებას. ინგლისური და ამერიკული მცირე პროზის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ საკუთარი სახელით ტექსტის დაწყება მიჩნეულია ყველაზე გავრცელებულ სტილისტიკურ ხერხად. მაგალითად, ე. ქოლდუელის მოთხრობების უმეტესობა სწორედ ანთროპონიმებით იწყება, რის შედეგადაც ერთბაშად ხდება მკითხველის ყურადღების ორიენტირება მთავარ მოქმედ პიროზე, რომლის იდენტიფიკაციასაც იგი უკვე ნელ-ნელა ახდენს კონტექსტური ინფორმაციის დაგროვების პარალელურად:

"Max Clough was getting along well until Elam went away over the week-end."

(Caldwell E., "A Woman in the House", p. 58)

"Nell stood at the kitchen window packing the basket of eggs."

(Caldwell E., "Yellow Girl", p. 71)

"Hop Shappard was in the kitchen eating breakfast when he heard one of the colored boys yell for him"

(Caldwell E., "Meddlesome Jack", p. 82)

იგივე შეიძლება ითქვას სხვა ავტორებზეც. მაგალითად:

"When Mary McDowall was brought to the court the place was crowded."

(Maugham W.S., "Watercress Girl", p. 167)

"Louis Thurlow, having decided to take his own life, felt that at least he might take his own time also."

(Collier J., "Halfway to Hell", p. 332)

"Charlie Stone waited until he heard his mother snore, before he got out of bed."

(Graham Green, "I Spy", p.352)

არის შემთხვევები, როდესაც ტექსტის დაწყება საკუთარი სახელით პუბლიცისტური ჟანრის

ტექსტებშიც ხდება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ საინფორმაციო სტატიას ამერიკული პრესიდან:

"Twenty-year old Willie B. is a diehard TV addict. He hates news and talk shows, but he loves football and gets so excited over food commercials that he sometimes charges at the set, waving a fist. Says a friend: "He's like a child."

Willie B. is a 450-lb. gorilla at the Atlanta Zoo. In December a Tennessee TV dealer heard about Willie B's lonely life as the Zoo's only gorilla and gave him a TV set."

(*"Time"*, January 22, 2000)

მოცემულ ტექსტში საკუთარი სახელის ინიციალური გამოყენება წარმოადგენს ავტორის კომუნიკაციურ სტრატეგიას, რომელიც ერთდროულად ორ მიზანს ისახავს: ა) მკითხველის შემეცნებითი აქტივობის გაღვივებას და ბ) მისთვის მოულოდნელობის ეფექტის შექმნას, რაც თავისთავად თხრობას ანიჭებს ექსპრესიულობასა და დინამიკურობას. ეს განპირობებულია იმით, რომ, ერთი მხრივ, მკითხველს არ შეუძლია მსჯელობის საგნის იდენტიფიკაცია, რადგანაც საკუთარი სახელი მოკლებულია კონცეპტუალურ მნიშვნელობას. ამიტომ, იგი ისწრაფვის მოიპოვოს იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაცია. მეორე მხრივ, საკუთარი სახელი Willie B. შეიცავს სქესის აღმნიშვნელ სემას, ამიტომ იგი იძლევა ინსტრუქციას იმის თაობაზე, რომ მისი ექსტრალინგვისტური რეფერენტი უნდა მიეკუთვნებოდეს ადამიანთა მამრობითი სქესის წარმომადგენელთა რიცხვს, რის გამოც ადრესატის ექსპექტაცია გარკვეულ მიმართულებას იღებს. ექსპექტაცია არის ადამიანის თანდაყოლილი უნარი, შექმნილი გამოცდილების საფუძველზე წინასწარ განჭვრიტოს და დააპროგნოზოს სიტუაციის, შესაბამისად კი, აზრის შესაძლო განვითარება. იდენტიფიკაციის გამონათქვამში – "Willie B. is a 450-lb. gorilla at the Atlanta Zoo." ეს ექსპექტაცია ირღვევა ტექსტში ონტოლოგიური, ტაქსონომიური პრედიკაციის შემოყვანის შედეგად, რაც ნათელს ხდის, რომ ტექსტში საკუთარი სახელით წარმოდგენილი მსჯელობის საგნის რეფერენტია არა ვინმე მამაკაცი, არამედ ატლანტის ზოოპარკის ბინადარი გორილა.

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ კონკრეტულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით გვეჩვენებინა საკუთარ სახელთა იდენტიფიკატორული და ტექსტოლოგიური თავისებურებანი და მათი ლინგვოპრაგმატიკული ანალიზის შედეგად წარმოგვეჩინა ის კანონზომიერებანი, რომლებიც ამ სახელთა საშუალებით განპირობებს კომუნიკაციის წარმატებით განხორციელებას.

ლიტერატურა

1. Арутюнова Н. Д. Лингвистические проблемы референции. В кн.: Новое в зарубежной лингвистике. Вып. XIII. М.: Радуга, 1982, с. 5-40.
2. Крипке С. Тождество и необходимость. В кн.: Новое в зарубежной лингвистике, вып. XIII, М.: Радуга, 1982, с. 340-375.
3. Новое в зарубежной лингвистике. Вып. XIII, Логика и Лингвистика (проблемы референции). М.: Радуга, 1982, 432 с.
4. Grice H. P. Logic and conversation. // *Syntax and Semantics: Speech Acts*. New York: Academic Press, 1975, p. 83-106.
5. Lakoff G. Counterparts, or the problem of reference in Transformational Grammar. // *Semantics, An Interdisciplinary Reader in Philosophy, Linguistics, Anthropology and Psychology*. University of Illinois Press, 1981, p. 214-240.

რეზიუმე

მოცემულია საკუთარ სახელთა იდენტიფიკატორული ფუნქციონირების თავისებურებათა კვლევა ინგლისურენოვან ტექსტში. ეს სახელები განიხილება მკაცრ, მოუქნელ იდენტიფიკატორებად, რომელთაც ცნებითი შინაარსი არა აქვს. ამის გამო, მათი ფუნქციონირება ტექსტში ლიმიტირებულია და განპირობებულია გარკვეული ლინგვოპრაგმატიკული ფაქტორებით. ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ საკუთარ სახელებს კონკრეტული, ე.წ. სინგულარული რეფერენციის უნარი აქვს მხოლოდ კომუნიკანტთა ფონური ცოდნის, სამეტყველო სიტუაციის და კონტექსტური ინფორმაციის გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტექსტში საკუთარი სახელით უცნობი საგნის შემოყვანა წარმოშობს გაუგებრობის ფენომენს, როდესაც, დამატებითი ინფორმაციის მიწოდების გარეშე, ადრესატისათვის შეუძლებელია მსჯელობის საგნის იდენტიფიკაცია.

ნინო კირვალidze

Идентификаторные особенности собственных имён и их функционирование в англоязычном тексте

Резюме

Анализ английских и американских рассказов позволяет сделать вывод, что когда автор начинает текст с собственного имени, он часто сознательно замедляет идентификацию предмета речи. Такое инициальное функционирование собственного имени в тексте мы относим к стилистическому приёму, выражающему субъективный модус автора и его прагматическую установку, что ставит своей целью сразу же обратить внимание читателя на главное действующее лицо и в то же время стимулировать познавательный интерес читателя, найти контекстную информацию для идентификации этого лица.

Nino Kirvalidze

Identifying Peculiarities of Proper Names and Their Functioning in the English Text

Summary

The article deals with the study of proper names as identifiers. In linguistic literature these lexical units are viewed as "defective" signs, because they are devoid of conceptual meaning. Semantic potential of anthroponyms is minimal, their meaning being reduced to one denotational component indicating gender, according which human beings are differentiated. Such conceptual emptiness of these words predetermines their functional peculiarities, that are confined to the spheres of nomination and identification. Due to the lack in informativeness, proper names act as "rigid designators" in the text, their identifying potential being limited and predetermined by contextual information, background knowledge of the communicants and concrete extralinguistic situation of the speech act. Hence, the speaker should always observe the rules of communicative cooperation, as the research of language material has proved that their violation leads to misunderstanding between the communicants. The analysis of a number of short stories by English and American writers enables us to conclude that very often, when the author opens the narration with a proper name, he/she deliberately slows down with the identification process. We view such initial functioning of proper names as stylistic manifestation of communicative strategies of the author, simultaneously focusing the reader's attention on the main character and stimulating his/her interest to obtain the information that is necessary for the identification of target object as fast as possible.